საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ქ. ი. ადვოკატ შ. ვ.-ის წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: იური ვაზაგაშვილი

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: ლავრენტი ქავთარაძე

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: დათუნა მოდებაძე

კომისიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი: კობა ბოჭორიშვილი

კომისიის წევრი: ცირა შუბითიძე

კომისიის წევრი: გიგა კვერენჩხილაძე

კომისიის წევრი: არჩილ კბილაშვილი

საჩივრის ავტორი: ქ. ი.

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი: შ. ვ., სიითი №

საჩივრის შემოსვლის თარიღი: 23.03.2011

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ შ. ვ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას 2011 წლის 23 მარტს საჩივრით მომართა ქ. ი.-მ და მოითხოვა ადვოკატ შ. ვ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით, სარჩელის ჩაბარებიდან 2 დღის შემდეგ, 2010 წლის 1 მაისს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა ადვოკატ შ. ვ.-სთან, ხოლო 2010 წლის 3 მაისს სანოტარო წესით გააფორმა რწმუნებულება. ადვოკატს კლიენტის ინტერესები უნდა დაეცვა სამოქალაქო-სამართლებრივი დავის თაობაზე.

1.3 ქ. ი.ქ. ი.-ის განცხადებით, მან ადვოკატს თავდაპირველად გადასცა 500 ლარი, 300 ლარი გადაურიცხა პირად ანგარიშზე, ხოლო დამატებით 1060 ლარი მოქალაქეთა თანდასწრებით გადასცა ხელზე.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს დროულად მიაწოდა ინფორმაცია და გადასცა სარჩელი თანდართული დოკუმენტაციით, თუმცა ადვოკატმა სასამართლოს მიერ დადგენილ 10 დღიან ვადაში არ წარადგინა შესაგებელი სამოქალაქო საქმეზე. შესაბამისად, სასამართლომ ქ. ი.ქ. ი.-ის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა.

1.5 საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატის უპასუხისმგებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაეკისრა 5000 ლარისა და სასამართლო ხარჯების- 250 ლარის გადახდა. ქ. ი.ქ. ი.-ის განცხადებით, რადგან მან ვერ გადაიხადა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებით განსაზღვრული 7% - 370 ლარი, აღნიშნულს

შედეგად მოჰყვა, სასამართლო აღმასრულებლის მიერ საოჯახო ნივთების დაყადაღება და მათი გასხვისება აუქციონის გზით.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, რომელიც ჩაიბარა პირადად, აცნობა ადვოკატს დამდგარი შედეგის შესახებ და წარუდგინა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ადვოკატმა ქ. ი.-ს განუმარტა, რომ მას უკვე გასაჩივრებული ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, დაამშვიდა და აღუთქვა, რომ მიხედავდა საქმეს.

1.7 ქ. ი.ქ. ი.-ის განცხადებით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა და ადვოკატის უმოქმედობის შესახებ ინფორმაცია მისთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც აღმასრულებელმა ყადაღა დაადო მის ქონებას და მოახდინა რეალიზება იძულებითი აუქციონის გზით.

1.8 განმცხადებლის მითითებით, მან კვლავ მიმართა ადვოკატს დახმარებისათვის, რომელმაც მისცა პირობა, რომ თუ საქმეს ვერ მოუგვარებდა, თავად აუნაზღაურებდა სასამართლოს მიერ დაკისრებულ თანხას 5000 ლარს, თუმცა, როგორც საჩივრის ავტორი მიუთითებს, ადვოკატს დანაპირები არ შეუსრულებია.

1.9 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის 2011 წლის 5 აგვისტოს სხდომაზე განაცხადა, რომ მას ადვოკატი ბოლო 10 დღის განმავლობაში არ დაკავშირებია დაპირებული თანხის უკან დაბრუნების თაობაზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ეთიკის კომისიის 2011 წლის 8 ივლისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი შ. ვ.. ადვოკატის განცხადებით, 2011 წლის 15 აპრილს შემდგარ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ვერ გამოცხადდა პირადი პრობლემებისა და ავადმყოფობის გამო. ადვოკატი განმარტავს, რომ მას ამ ხნის განმავლობაში კლიენტთან ურთიერთობა ჰქონდა, რამდენჯერმე შეხვდა ქ. ი.-ს და კლიენტისათვის ადვოკატის ტელეფონის ნომერი ცნობილი იყო .

2.2 ეთიკის კომისიის 2011 წლის 26 ივლისისა და 5 აგვისტოს სხდომებზე ადვოკატი შ. ვ. არ გამოცხადდა. ადვოკატს არ წარმოუდგენია ეთიკის კომისიისათვის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე რაიმე სახის წერილობითი მტკიცებულება.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ სამოქალაქო-სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით იგი ახორციელებდა კლიენტის ინტერესების დაცვას, თუმცა მხარეებს შორის სხვა შეთანხმებაც არსებობდა. ადვოკატს მხარეებს შორის გაფორმებული

ხელშეკრულების ნამდვილობა სამოქალაქო სამართლებრივი მომსახურების გაწევის თაობაზე ეჭვქვეშ არ დაუყენებია.

2.4 ადვოკატის ახსნა-განმარტებით, მან შესაგებელი ვერ წარადგინა დადგენილ ვადაში, რადგან პირადი ხასიათისა და ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა . ადვოკატმა ეთიკის კომისიის წინაშე განაცხადა, რომ კლიენტი ინფორმირებული იყო მისი პირადი პრობლემების თაობაზე. ადვოკატის განცხადებით, მან გულგრილობა და დაუდევრობა გამოიჩინა, როდესაც შესაგებელი არ წარადგინა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ პირადი პრობლემების გამო ვერ შეძლო კლიენტის ინტერესების დაცვა.

2.5 ადვოკატმა ეთიკის კომისიის წინაშე განაცხადა, რომ იგი სადაოდ არ ხდის დოკუმენტების წარუდგენლობის თაობაზე კლიენტის პრეტენზიებს. ადვოკატმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ უკან დაუბრუნოს კლიენტს 1800 ლარი 2011 წლის 25 ივლისს, დარჩენილი 4200 ლარს გადაიხდის ნაწილ-ნაწილ, თვეში 1000 ლარის ოდენობით.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2011 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ შ. ვ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა, ბ, ე“ პუნქტები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-5 და მე-8 მუხლები.

3.3 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატი საპროცესო კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადდა. შესაბამისად, კოლეგიამ გადაწყვეტილება საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით მიიღო და გამოთქვა ვარაუდი, რომ ადვოკატ შ. ვ.-მ, დაცვის უფლების გარეშე დატოვა კლიენტი და არაფერი მოიმოქმედა კლიენტის ინტერესების დასაცავად, რითაც ამ უკანასკნელს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია:

4.1 ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2011 წლის 27 მაისის მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა მეოთხე დისციპლინურ კოლეგიას. მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომა ჩაატარა 8 ივლისს და იხელმძღვანელა რა

“ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” დებულების 36-ე მუხლით და 2011 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

5.1 ადვოკატ შ. ვ.-ს უნდა დაეცვა კლიენტის - ქ. ი.ქ. ი.-ის ინტერესები სამოქალაქო-სამართლებრივ დავასთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2010 წლის 1 მაისს მხარეებს შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.
2. 2010 წლის 3 მაისის რწმუნებულება/მინდობილობა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის #100413405, ნოტარიუსი მედეა დემეტრაშვილი.

5.2 ადვოკატ შ. ვ.-ს უნდა წარედგინა შესაგებელი სამოქალაქო საქმეზე 2010 წლის 10 მაისის ჩათვლით. ადვოკატისათვის ცნობილი იყო შესაგებლის წარუდგნლობის გამო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი სამართლებრივი შედეგები, მან არ წარადგინა შესაგებელი და სასამართლომ 2010 წლის 24 მაისს, საქმეზე # 2/2356 შესაგებლის წარუდგენლობის გამო მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება ქ. ი.ქ. ი.-ის საწინააღმდეგოდ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2010 წლის 24 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე # 2/2356.
2. ქ. ი.ქ. ი.-ის 2011 წლის 23 მარტის # 030/11 საჩივარი
3. ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგიის 2011 წლის 8 ივლისის სხდომის ოქმი საქმეზე # 030/11.

5.3 ადვოკატ შ. ვ.-ს არ გაუსაჩივრებია 2010 წლის 24 მაისს მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც მხარემ წარუდგინა და ადვოკატი დაპირდა, რომ გაასაჩივრებდა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ქ. ი.ქ. ი.-ის 2011 წლის 23 მარტის # 030/11 საჩივარი
2. ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგიის 2011 წლის 8 ივლისის სხდომის ოქმი საქმეზე # 030/11.

5.4 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსასრულებლად, ქ. ი.ქ. ი.-ის მოძრავი ქონება აუქციონის გზით გაიყიდა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 06.07.2010 წლის # AXXXXXX-XXX/XXX წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ.
2. პირველი და განმეორებითი იძულებითი აუქციონის სხდომის ოქმები.

5.5 ადვოკატი შ. ვ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა ერთიან სიაში ირიცხება, როგორც სისხლის სამართლის სპეციალისტი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ადვოკატთა ასოციაციის ერთიანი სია, ადვოკატი შ. ვ., სიითი #

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ შ. ვ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ შ. ვ.-ის მიერ დარღვეულ იქნა შემდეგი ნორმები:

ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ე“ პუნქტები, რომლის თანახმად „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვით ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ნდობის პრინციპი, რომლის თანახმად „ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და მიუკერძოებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა."

7.2 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის" მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადვოკატი კლიენტთან საქმიანობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების თანახმად.

7.3 მოცემულ შემთხვევაში კლიენტმა, ქ. ი.-მ, ადვოკატ შ. ვ.-ს, ხელშეკრულებისა და მხარეებს შორის გაფორმებული რწმუნებულების თანახმად მიანიჭა უფლებამოსილება დაეცვა მისი ინტერესები სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით, მათ შორის წარმოედინა მისი ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულებისა და რწმუნებულების საფუძველზე კლიენტმა გამოთქვა მზადყოფნა გადაეცა ადვოკატისათვის უფლებამოსილება დაეცვა მისი ინტერესები სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით, ხოლო მეორე მხრივ, ადვოკატმა აიღო ვალდებულება წარმოედგინა კლიენტის ინტერესები და განეხორციელებინა კლიენტის უფლებების სათანადო დაცვა.

7.4 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება, რათა სათანადოდ იყოს კლიენტი წარმოდგენილი და ადვოკატისათვის მინდობილი საქმის თაობაზე მიიღოს კვალიფიციური და სრული მომსახურება. ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის, საქმე #066/10 გადაწყვეტილების თანახმად, „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები, და კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს კანონით „ადვოკატთა შესახებ" არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებეულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის."

7.5 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატს, სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით, როგორც საჩივრის ავტორის წარმომადგენელს, კლიენტის ინტერესების დასაცავად უნდა განეხორციელებინა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებები. კერძოდ, ადვოკატს გააჩნდა ვალდებულება წარედგინა შესაგებელი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, რაც არ განახორციელაშესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება კლიენტის საწინააღმდეგოდ.

7.6 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატისათვის ცნობილი იყო შესაგებლის წარუდგენლობის გამო კანონით განსაზღვრული შედეგი, იგი სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც არ შეეცადა კლიენტისათვის მოსალოდნელი ზიანის თავიდან არიდებას და კვლავ არაფერი მოიმოქმედა მისი ინტერესების დასაცავად, მაშინ როდესაც საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა მხარეს შესაძლებლობას აძლევს გაასაჩივროს სასამართლოს დაუსწრებლი გადაწყვეტილება. ამასთან, აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება კლიენტმა პირადად წარუდგინა ადვოკატს და მოითხოვა მისი გასაჩივრება, თუმცა, ადვოკატმა არაფერი იღონა მისივე უმოქმედობის გამო შექმნილი კლიენტის მძიმე სამართლებრივი მდგომარეობის შესაცვლელად.

7.7 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა გამოიჩნა გულგრილობა კლიენტის საქმის წარმოებისას, რითაც მნიშვნელოვნად დააზარალა კლიენტი და მატერიალური ზიანი მიაყენა მას; კერძოდ, 2010 წლის 24 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების თანახმად ქ. ი.-ს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 5 000 (ხუთი ათასი) ლარი, სასამართლო ხარჯების სახით 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი, რასაც შედეგად მოჰყვა გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საჩივრის ავტორის მოძრავი ქონების გასხვისება საჯარო აუქციონის წესით. შესაბამისად, ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები: „კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები“. კერძოდ, არ შეასრულა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-6 პუნქტითა და 236-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები, რაც გულისხმობს შესაგებლის წარდგენასა და შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

7.8 ეთიკის კომისიის 2011 წლის 28 იანვრის, საქმე #074/10 გადაწყვეტილებით, „განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.“

7.9 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში MAĐER v. CROATIA (განაცხადის № 56185/07, 2011 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება), სადაც ადვოკატი, კლიენტის განცხადებით ქმედითი დაცვის განსახორციელებლად სათანადოდ არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს, სხვა საკითხებთან ერთად, იმსჯელა ადვოკატის მიერ ვალდებულებების არასათანადო შესრულებაზე, რაც დაცვის უფლების დარღვევად შეაფასა.

7.10 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას ასევე წარმოადგენს, თუ

ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა შესაბამის დარგში. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმე # 017/11, „ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით განსაზღვრულია ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მერვე პუნქტის მიხედვით" ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს."

7.11 ეთიკის კომისიამ, საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული მოწმობის შესაბამისად, განსაზღვრული მიმართულებით.

7.12 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი შ. ვ. წარმოადგენს სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატს. ადვოკატს, საქმიანობის განხორციელება და კლიენტის ინტერესების და უფლებების წარმოდგენა გააჩნია სისხლის სამართლის მიმართულებით. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი სამოქალაქო-სამართლებრივ მომსახურებას უწევდა კლიენტს, რაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეხუთე ნაწილით დადგენილ, კლიენტის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. აღნიშნული ადვოკატის სისხლის სამართლებრივი სპეციალიზაცია შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ადვოკატმა არ შეასრულა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მასზე დაკისრებული მოვალეობები, რაც კლიენტისათვის მიყენებულ ქონებრივ ზიანში გამოიხატა.

7.13 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობისას ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს კლიენტის მიერ მისდამი გამოცხადებულ ნდობას. ნდობის პრინციპი უკავშირდება კლიენტისათვის მიცემულ რჩევას და განხორციელებულ წარმომადგენლობას. ნდობის პრინციპზე დაყრდნობით გააჩნია კლიენტს მოლოდინი, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად განახორციელებს კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი ვალდებულია გაამართლოს ეს ნდობა.

7.14 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში კლიენტს ჰქონდა მოლოდინი, რომ ადვოკატი მოაგვარებდა მის სამოქალაქო დავას და სათანადო მომსახურებას გაუწევდა, თუმცა ადვოკატმა არ წარადგინა შესაგებელი. საჩივრის ავტორმა შესაგებლის წარუდგენლობის გამო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება პირადად გადასცა ადვოკატს გასაჩივრების მიზნით, რითაც გამოხატა მის მიმართ ჯერ კიდევ არსებული მოლოდინი, რომ ადვოკატი დაიცავდა მის ინტერესებს, თუმცა ადვოკატმა არც ამჯერად შეასრულა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებები.

7.15 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის უმოქმედობის შედეგად კლიენტმა დაკარგა ნდობა ადვოკატის მიმართ და მოლოდინი იმისა, რომ ადვოკატი ჯეროვნად განახორციელებდა მისი ინტერესების დაცვას. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მხრიდან ადგილი ჰქონდა „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ნდობის პრინციპის დარღვევას.

7.16 ეთიკის კომისია ასევე მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატი კლიენტს არაერთხელ დაპირდა მისი ბრალეული ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, მათ შორის განხილვის კოლეგიისათვის მიცემული ახსნა-განმარტების დროს, თუმცა მას ეს არ გაუკეთებია.

III სარეზოლუციო ნაწილი:

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ე“ პუნქტებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მესამე და მე-8 მუხლის მეხუთე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ შ. ვ.-ის /სიითი #/ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 2 (ორი) წლის ვადით.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი მხარეებს გაეგზავნოთ გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.

3. ადვოკატ შ. ვ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. # 32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში .

სხდომის თავმჯდომარე ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი იური ვაზაგაშვილი

კომისიის წევრი	ემზარ პაქსაძე
კომისიის წევრი	ეკატერინე გასიტაშვილი
კომისიის წევრი	ლავრენტი ქავთარაძე
კომისიის წევრი	დავით კაკაბაძე
კომისიის წევრი	დათუნა მოდებაძე
კომისიის წევრი	გიორგი ბეგიაშვილი
კომისიის წევრი	კობა ბოჭორიშვილი
კომისიის წევრი	ცირა შუბითიძე
კომისიის წევრი	გიგა კვერენჩხილაძე
კომისიის წევრი	არჩილ კბილაშვილი